603N6409

ᲛᲐᲢᲩᲘ

ვ. სმისლოვი

მ. ბოტვინიკი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 მარტი, 1958 წელი

№ 26 (1196)

ფასი 30 კაპ.

გამოდის მე-14 წელი.

დღეს მოსკოვში მოეწყობა მ. ბოტვინიკ — ვ. სმისლოვის მატჩ-რევანშის საზეიმო გახსნა, ხოლო 4 მარტს მსაჯები, შვედი გროსმაისტერი გ. შტალბერგი და საერთაშორისო ოსტატი გ. გოლომბეკი (ინგლისი) ჩართავენ საათს და დაიწყება ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის. მოწინააღმდეგენი გაითამაშებენ 24 პარტიას. იმისათვის, რომ მ. ბოტვინიკმა დაიბრუნოს დაკარგული „გვირგვინი“, უნდა მოიგოს მატჩი, ხოლო ვ. სმისლოვს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისათვის საყაიმო შედეგიც ეყოფა.

საბჭოთა საჭადრაკო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებს მიხეილ ბოტვინიკს და ვასილ სმისლოვს კარგად იცნობენ ჭადრაკის მოყვარულები. ახლა მ. ბოტვინიკი 47 წლისაა, ვ. სმისლოვი — 37 წლის. გროსმაისტერები ძველი მეტოქენი არიან. პირველად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1940 წელს საბჭოთა კავშირის XII ჩემპიონატში. ამის შემდეგ 1948 წლამდე ყოველთვის ჯობნიდა მ. ბოტვინიკი, მაგრამ მსოფლიო პირველობის შემდეგ წარმატებათა ასწორმა ვ. სმისლოვის მხარეს გადაიწია. ნიჭიერი გროსმაისტერი რამდენიმე ტურნირში წინ უსწრებს მ. ბოტვინიკს, ხოლო ციურიხის კანდიდატებთა ტურნირში გამარჯვების შემდეგ მატჩში ჩავდება მ. ბოტვინიკს. მძაფრი ბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 12:12 და მ. ბოტვინიკმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა. 1956 წელს ვ. სმისლოვმა კვლავ გაიმარჯვა ამსტერდამის პრეტენდენტთა ტურნირში და მომდევნო წელს ისევ შეხვდა მ. ბოტვინიკს. ამჯერად ვ. სმისლოვმა იშვიათი მომზადება, ძალა და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. მან მოიგო 6 პარტია, წააგო 3 და 13 ყაიმით დაამთავრა. სმისლოვს მიენიჭა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

მსოფლიო ჩემპიონის სახელის გათამაშება ჩვენს დროში დემოკრატიული პრინციპით ეწყობა. მსოფლიო ჩემპიონი ვალდებულია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ დაიცვას თავისი ტიტული უძლიერესთან, რომელიც გამოვლინდება მრავალ შესარჩევ ტურნირებში. ამასთან, დამარცხებულ ჩემპიონს რჩება რევანშის უფლება. აი სწორედ ამ უფლებას იყენებს ახლა მ. ბოტვინიკი.

დინამოელთა ტურნირი

მოსკოვში მიმდინარეობს დინამოელთა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. მონაწილეობენ საბჭოთა კავშირიდან ლვოვის, მოსკოვისა და თბილისის გუნდები. მაგდენბურგის „დინამო“ (გდრ), დოჟას სახელობის კლუბი (უნგრეთი) და რუმინეთის ჩემპიონი ბუქარესტის „დინამო“.

ტურნირი 26 თებერვალს დაიწყო. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლვოვისა და მოსკოვის დინამოელთა გუნდები. შეხვედრა დამთავრდა დედაქალაქის სპორტსმენთა გამარჯვებით — 4:2. თბილისელები შეხვდნენ მაგდენბურგელებს. ჩვენი დედაქალაქის სპორტულ ღირსებას იცავდნენ კლიმენკო, ჩაჩავა, ავანესიანი, ბართაევი, მეგედი, გვახარია და ჩხიკვაძე. თამაში დაიწყო. მალე გერმანელებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სტუმრები დაჯარიმდნენ 4-მეტრიანი ტყორცნით, რაც თბილისელმა ბართაევმა წარმატებით გამოიყენა და ანგარიში გათანაბრა — 1:1. შემდეგ იგივე ბართაევმა შესანიშნავი ტყორცნით ანგარიში 2-მდე გაზარდა. ამას მოჰყვა ავანესიანის გარღვევა და ანგარიში გახდა 3:1. პირველი ტაიმის მიწურულში თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთის გატანა შეძლეს. თამაშის მეორე ნახევარში გერმანელები გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვიდნენ და ინიციატივის ჩაგდებაც კი შეძლეს ხელში, მაგრამ დროებით. მოწინააღმდეგის მიერ გატანილ ორ ბურთს ჩვენებმა ერთით უპასუხეს და მატჩი მოიგეს ანგარიშით 5:3. დოჟას სახელობის კლუბისა და ბუქარესტის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

მეორე დღეს ბუქარესტის „დინამომ“ დაამარცხა (8:6) მაგდენბურგის „დინამო“, დოჟას სახელობის კლუბმა ლვოვის „დინამო“ — 1:0. ამ ორი მატჩის შემდეგ აუზში გადაეშვნენ თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გუნდები. დაიწყო თამაში თუ არა, გვახარია მოხერხებულად გაუსხლტა თავის მოწინააღმდეგეს და ბურთი მოსკოველთა კარში გაახვია. ერთხანს ბრძოლა ცენტრში მიმდინარეობდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-6 წუთზე მოსკოველმა მშვენიერაძემ გაათანაბრა ანგარიში. შემდეგ თამაში ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მეორე ტაიმში თბილისელები მთელი ძალით არ თამაშობდნენ. მათ თითქოს დაბნეულობაც დაეტყოთ. სწორედ ამის მიზეზი იყო, რომ მათ კარში ორ ბურთი ზედიზედ მიიღეს (ნოვიკოვი, კარტაშოვი), შემდეგ გუნდებმა თითო 4-მეტრიანი საჯარიმო გაიტანეს და როდესაც ყველას ეგონა, რომ თამაში ანგარიშით 4:2 მოსკოვის „დინამოს“ სასარგებლოდ დამთავრდებოდა, შორი მანძილიდან უძლიერესი ძალით მშვენიერაძემ მეხუთე ბურთი გაიტანა — 5:2.

28 თებერვალს თბილისელები შეხვდნენ ლვოველებს. მატჩის შედეგი 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ. დოჟას სახელობის კლუბის გუნდმა მოუგო მაგდენბურგის „დინამოს“ — 5:3. მოსკოვის „დინამომ“ ბუქარესტის „დინამოს“ — 5:4.

გ. ჭყონია,
ჩვენი საკ. კორ.
მოსკოვი.

ᲯᲐᲨᲣᲨᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

როგორც გერმანული გაზეთი „ინტერნაციონალეს შპორტ ეხო“ იუწყება, დასავლეთის ჯაშუშური ორგანიზაციები და მათი აგენტები გაშმაგებით ცდილობენ თავიანთ მხარეს გადმოიბირონ დემოკრატიულ ქვეყნებში მცხოვრები სპორტსმენები.

დასავლეთ გერმანიის ამ რეაქციული ორგანიზაციების ბნელ მოქმედებების შესახებ ჩეხოსლოვაკიის ტელეგრაფის სააგენტოს აცნობა პრაღის „სპარტაკის“ ფეხბურთელმა იოზეფ კრამ, რომელიც თავის გუნდთან ერთად იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიაში.

ერთ-ერთ ქალაქში პრაღის ფეხბურთელებს მიეტმასნენ უცნობი სუბიექტები, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს ჩეხოსლოვაკია და ამჟამად დასავლეთის ჯაშუშთა ცენტრს ემსახურებიან. ამ სუბიექტებმა ცადეს ფეხბურთელების გამოყენება ჯაშუშური მიზნებისათვის: სპორტსმენებს მათთვის რეგულარულად უნდა გადაეცათ სხვადასხვა სახის საიდუმლო ცნობები, ხოლო საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს დამკავშირებლების როლში გამოსულიყვნენ. ისინი ფეხბურთელებს სამშობლოს ღალატის საფასურად დიდ თანხებს ჰპირდებოდნენ.

მაგრამ აგენტები, რომელთა შორის იყო პროვოკაციული რადიოსადგურის „თავისუფალი ევროპა“-ს თანამშრომელი ადოლფ კიპერა მოტყუვდნენ. არც იოზეფ კრა და არც მისი ამხანაგები არ წამოეგენ პროვოკაციულ ანკეტს.

„ᲠᲘᲣᲚᲔᲢᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲖᲔ

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, „ბიშლეტის“ სტადიონზე მოეწყო ნორვეგიისა და მოსკოვის მოციგურეთა ტრადიციული საერთაშორისო შეხვედრა.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სტარტზე პირველად გამოიძახეს მოსკოველი ლიაპკოვი და ნორვეგიელი ოდტი. გაიმარჯვა ჰოდტმა, რომელიც 500 მეტრზე ნახევარი წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ლიაპკოვმა — 44,5. ამ დისტანციაზე ყველაზე უკეთესო დრო ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონ ოლაფ ჟორდსმენს გრიშინს — 41,7.

შეჯიბრების პირველი დღის პროგრამის დამთავრების შემდეგ, როცა ლიდერობდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გუნდი, ნორვეგიის მეფემ ჰაროლდ მეხუთემ თავის ლოჟაში მიიწვია მოსკოვის მოციგურეთა დელეგაციის ხელმძღვანელი ს. პუშნოვი, და მიულოცა მას წარმატება.

26 თებერვალს ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა. 1.500 მეტრზე ბაბენა მოიგო მოსკოველმა ვორონინმა — 2.14,1. გუნდურ პირველობაში გამარჯვებულის გამოსავლინებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 10.000 მეტრზე რბენას. აქ პირველობა დაიკავეთრა იუჰანესენმა, მაგრამ მეორე ადგილზე გამოსულმა გონჩარენკომაც მაღალი შედეგი აჩვენა, რითაც გაიმარჯვა მრავალჭიდში. ამით მოსკოვის გუნდმა დაიკავა საერთო პირველი ადგილი.



ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები შეიკრიბნენ მოსკოვში, სულ წლებში, ვაჟთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ს. ანდრეევმა, ულოცავს ს. ანდრეევს.

პირველობაზე. ისევე როგორც გასსრ კავშირის 1958 წლის ზამთრის

რომელმაც ფინალურ მატჩში სძლია ახალგაზრდა ლენინგრადელ ა. პოტანინს. რომელმაც არა თუ წარმატებით მოიგერია საბჭოთა კავშირის ჩემპიონის იერიშები, არამედ შესანიშნავი თამაშით აიძულა ეგი ყრუ დაცვაზე გადასულიყო. მაგრამ როცა ს. ანდრეევმა შეატყო, რომ დაცვის ტაქტიკა მას წარმატებას არ მოუტანდა, იერიშზე გადავიდა და გამარჯვებაც მოიპოვა.

ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ვ. კუზმენკო და ე. ლარინა. თამაში დამთავრდა პირველის გამარჯვებით. ვაჟთა წყვილებს შორის უძლიერესნი იყვნენ ნ. ოზეროვი და ს. ანდრეევი, ხოლო ქალთა შორის — პრეობრაჟენსკაია-ფილიპოვა. ყველა მოლოდინს გადააჭარბა როსტოველთა შერეული წყვილის ვ. ტროშკინა-ვ. ანასიმოვის თამაშმა. ახალგაზრდა სპორტსმენებმა ნახევარფინალში დაამარცხეს პრეობრაჟენსკაია-ანდრეევი, ხოლო ფინალში — კუზმენკო-ოზეროვი და მოიპოვეს პირველი ადგილი. **სურათზე:** ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ა. პოტანინი (მარცხნივ) გამარჯვებას

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს გაიმართება პროფკავშირთა VI საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც იქნება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. პროფკავშირების სპარტაკიადა ხელს შეუწყობს ძირეულ კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობის გაუმჯობესებას, ახალი, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლინების, პროფკავშირულ სპორტსმენთა სპორტული დოსტატების საქმეს.

სპარტაკიადა მოეწყობა რამდენიმე ეტაპად. შეჯიბრებები საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში მოეწყობა 15 ივლისამდე. მხარეებსა და ოლქებში — 1 აგვისტომდე, მოკავშირე რესპუბლიკებში — 10 აგვისტომდე.

1958 წლის 24-დან 29 აგვისტომდე მოსკოვში შეიკრიბება 5 ათასზე მეტი უძლიერესი სპორტსმენი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრებში. მოსკოვს, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან სპორტის 17 სახეობაში.

ამასთან დაკავშირებით საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფსაბჭოებსა და სპორტსაზოგადოებებს სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, წარმოებათა ხელმძღვანელებთან ერთად მოაწყონ სტადიონები, საწყლოსნო სადგურები და სხვა სპორტული ნაგებობანი, რომლებზეც გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები. ამას გარდა ფიზკულტურელთა ძალებით უნდა აშენდეს მარტივი სპორტული მოედნები წარმოებების, მუშათა დაბებისა და საერთო საცხოვრებლების ტერიტორიაზე.

ნაკლოვანებები ჯერ კიდევ გვევრია

„კოლმეურნის“ II პლენუმი

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფლის ახალგაზრდებთან ფიზკულტურული მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გაერთიანდა „ულოქაი“ და „კოლმეურნე“. ეს „კოლმეურნის“ ცენტრალური, საოლქო და რაიონული საბჭოების წინაშე აყენებდა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს — მთელი ძალები წარემართათ ძირეული კოლექტივების ორგანიზებული განმტკიცებისათვის, სპორტსმენთა ტექნიკური დონის, მათი მიღწევების ზრდისათვის.

სოფლის ფიზკულტურელთა ახალმა სპორტულმა საზოგადოება „კოლმეურნემ“ დადებითად გადწყვიტა მის წინაშე დასახული ამოცანები. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის სპორტსმენთა დოსტატებაში. გასულ წელს „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადაში. წარმატებით გამოვიდნენ მოთხილამურეთა, ძალოსანთა და კლასიკურ მოჭიდავეთა კავკავშირო შეჯიბრებებზე და სხვ.

წინა წელთან შედარებით გამრავლდა საკავშირო შეჯიბრებებში პირად პირველობაზე გამარჯვებულთა რიგები. სოფლის ფიზკულტურელთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: კლასიკურ ჭიდაობაში — მანელიშვილი, ვაჭარაძე, ზარქუა, ძალოსნობაში — გრიგორიანი, თხილაჩურებში — კოზანაშვილი, ხოლო ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადაზე ათობით ფიზკულტურელმა მოიპოვა უძლიერესის სახელი. ზ. ეფხიაშვილი გახდა რესპუბლიკის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში. ძალოსნებმა ყუბანეიშვილმა და დათიკაშვილმა არაერთი შესწორება შეიტანეს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში. ჭობულეთელი ფეხბურთელები მესამე ადგილზე გამოვიდნენ რესპუბლიკურ პირველობაში და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნე სპორტსმენებმა შეძლეს 21-მდე გაეზარდათ სპორტის ოსტატთა რიცხვი. ყველა სახის შეჯიბრებაში საზოგადოების ინტერესებს იცავდა 364 პირველთანრიგოსანი. მათგან ეს ნორმატივი შარშან პირველად შეასრულა 91-მა სპორტსმენმა, ხოლო სპორტის ოსტატისა — 4-მა. მეორე თანრიგზე გეგმით გათვალისწინებული 350 სპორტსმენის ნაცვლად მომზადდა 422 და ა. შ.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გარდაქმნეს მუშაობა მახარაძის, ქობულეთის, სიღნაღის, მარნეულისა და სხვა რაისაბჭოებმა, ჩემლაყის, ველისციხის, მელექედურას საკოლმეურნეო, დიდი ჯიხაიშის, ცხაკაიას, ბაკურციხის, ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო, დიღმის მექანიზაციის, ფოთის ჰიდრომელიორაციის, თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმებისა და სხვა ძირეულმა კოლექტივებმა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ხაჭართველოს სოფლის ფიზკულტურელთა საქმიანობაში ყველაფერი წესრიგში იყოს და არ საჭიროებდეს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. მაგრამ როგორც „კოლმეურნის“ მეორე პლენუმზე (მოხსენებით გამოვიდა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დ. კინწურაშვილი) გამოირკვა, „კოლმეურნის“ ცენტრალური, საოლქო და რაიონული საბჭოების საქმიანობა ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

სპორტში მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვების ძირითადი საშუალებაა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება ძირეულ კოლექტივებში. ამ მხრივ „კოლმეურნეში“ ბევრს ვერაფერს დაიტრაბახებენ, რადგან თითო-ოროლა სანიმუშო კოლექტივის იქით მრავალია ისეთები, რომლებიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. ნაკრები გუნდებით დაკავებულ რაიონულ, საოლქო და ცენტრალურ საბჭოებს „არ სცალიათ“ მათი საქმიანობის შესასწავლად და ქმედითი დახმარებისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში იშვიათად ვხვდებით კოლმეურნე სპორტსმენებს.

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა განსაკუთრებით ჩაშლილია ადიგენის, ახალციხის, მესტიის, ზუგდიდის, ქარელის, ყვარლის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თეთრი წყაროს, თელავის რაიონებში. რაისაბჭოს ხელმძღვანელები მთელ თავიანთ საქმიანობას წლების განმავლობაში ფარგლავენ საწევრო ანარიცხების აკრეფითა და ორიოდე ღონისძიების ჩატარებით, რომლებშიც ხშირად 2-3 ძირეული კოლექტივი მონაწილეობს. რეგულარულად არ აწყობენ რაიონულ პირველობებს, შეჯიბრებებს, სამატჩო შეხვედრებს. რით უნდა ავხსნათ თუ არა საქმიანობის შეუფასებლობით ის ფაქტი, რომ ადიგენის რაიონში გასულ წელს გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 258-მა კაცმა. ხოლო ბორჯომის რაიონში—324 ფიზკულტურელმა ანუ ფიზკულტურელთა 20-მა პროცენტმა.

ამ დარგში ტონის მიმცემი აღმოჩნდა ცენტრალური საბჭო, რომელსაც სპორტღონისძიებათა კალენდარშიც კი არ ჰქონდა შეტანილი სამატჩო შეხვედრები, ხოლო გეგმით გათვალისწინებული სპორტღონისძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ჩატარებულა. ერთი ფაქტი. საქართველოს სოფლის მოთხილამურეები საკავშირო შეჯიბრებებზე ყოველთვის უძლიერესთა ხუთეულში იყვნენ, სამთო სახეობებში კი — საჩრდილო ადგილებზე. შარშან ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა რატომღაც არ ისურვა ამ ღონისძიების გამართვა, რის გამო გასული წლის ჩემპიონს სლალომში ბ. კოზანაშვილ უბრძოლველად დაეკარგვინეს ეს ტიტული.

ცენტრალური საბჭო და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი სუსტად იბრძოდნენ ძირეული კოლექტივების დახმარებისათვის, არ მართავდნენ ღონისძიებებს საბჭოთა მეურნეობებსა და მტა-ების ფიზკულტურელთა მონაწილეობით, ხოლო სოფლის მეურნეობის ტექნიკუმებისათვის ჩატარდა ერთადერთი ღონისძიება — სპარტაკიადა ოთხ სახეობაში. არ იყენებდნენ მასობრივ ღონისძიებათა ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაუსწრებელი შეჯიბრებები, სამატჩო და ამხანაგური შეხვედრები.

სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა საოლქო საბჭოს თავმჯდომარეები ჩხარტიშვილი, დვალაძე და თაბუევი არ ცდილობენ სათანადო დასკვნები გამოიტანონ შექმნილი მდგომარეობიდან და საქმიანობა გარდაქმნან ახალი საწყისების შესაბამისად. განსაკუთრებით ცუდად დგას საქმე აფხაზეთში, სადაც არაფერი კეთდება სპორტის მასობრიობისათვის სოფლის ახალგაზრდებს შორის, უფრო მეტიც, დაიშალა აფხაზეთის ველოსიპედისტთა სექცია, რომლის წევრები წარმატებით გამოვიდნენ ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადაზე.

რაიონების უმეტესობაში ნაკლები ყურადღება ექცევა სასწავლო-სპორტულ მუშაობას, სპორტის ზოგიერთ სახეობას კი დედინაცვალივით უყურებენ, არ ზრუნავენ მათი განვითარებისათვის. მაგალითად, არავითარი მუშაობა არ წარმოებს მძლეოსნობაში ამბროლაურის, მაიაკოვსკის, წითელწყაროს, გარდაბნის, თიანეთის, კასპის და სხვა რაიონების სოფლის ახალგაზრდებთან. ახალციხის, ახალქალაქისა და საგარეჯოს რაიონებში. არც ერთი საზოგადოებრივი მუშაკი და მსაჯი არ მომზადებულა სამხრეთ-ოსეთში, ფოთში, ახალციხეში, თერჯოლაში, მაიაკოვსკში.

საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია 26 სტადიონი, 425 ფეხბურთის, 167 კალათბურთისა და 777 ფრენბურთის მოედანი, 101 ტირი და 8 დარბაზი. ეს ერთი შეხედვით ცოტა არაა, მაგრამ გადავხედოთ თუნდაც თერჯოლის რაიონის მდგომარეობას ამ საკითხში. აქ არსებული 24 ფიზკულტურული კოლექტივიდან მხოლოდ 14-ს გააჩნია სავარჯიშოდ ვარგისი ბაზა. ყაზბეგის რაიონის 10 კოლმეურნეობიდან კი — 4-ს. ასეთივე მდგომარეობაა გეგეჭკორის, ონის, კასპის, წალკის, ბორჯომისა და სხვა რაიონებში, თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში კი ერთი მარტივი ტიპის ბაზა არა აქვთ.

ის, რაც პლენუმზე მხედველობიდან გამორჩა მომხსენებელს, შეავსეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა. ზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა ცენტრალური საბჭოს ბუხჰალტერმა ვ. უშვერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ იურიდიული საწევრო ანარიცხების გეგმა გასულ წელს შესრულდა 81,3 პროცენტით. ბოგდანოვკის, ვანია, გარდაბნის, გურჯაანის, ზუგდიდისა და სხვა რაისაბჭოებმა თავიანთ ანგარიშზე ჩარიცხეს იურიდიული საწევრო შესატანების მნიშვნელოვანი ნაწილი. უფრო შორს წავიდნენ ლაგოდეხელები, რომლებმაც გადახარჯეს 23 ათასი მანეთი, რიათვისაც რაიალმასკომმა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმების გარეშე თანამდებობიდან მოხსნა რაისაბჭოს თავმჯდომარე ჩხაიძე და მის ნაცვლად აირჩია ვინმე ავაკიმოვი, რომელმაც სახელმწიფო ფულით თვითნებურად შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა. ცენტრალური საბჭოს ჩარევის შემდეგ ავაკიმოვი განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, მანქანა დაუბრუნდა პატრონს.

არაფრის მთქმელი იყო აფხაზეთის საოლქო და გეგეჭკორის რაისაბჭოს თავმჯდომარეების დვალაძისა და ფირცხალავას გამოსვლები, რომლებმაც მხოლოდ საკუთარი ანგარიში წარუდგინეს პლენუმს.

სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ თაბუევმა აღნიშნა, რომ დღემდე არავინ ფიქრობს სისრულეში მოიყვანოს პარტიისა, საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება დიდ კოლმეურნეობებში ბაზებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბოჭორიძემ გააკრიტიკა როგორც ცენტრალური, ისე საოლქო და რაიონული საბჭოები, რომლებიც აუსტად იბრძვიან ფიზკულტურული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის და აღნიშნა, რომ თუ 3-4 წლის წინათ საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი იყო 15-20 ძირეული კოლექტივი, გასულ წელს მათი რიცხვი ორამდე შემცირდა. „კოლმეურნის“ საბჭოები არაათანადო ყურადღებას აქცევენ ინდივიდუალურ საწევრო შენატანებს. ახალ წევრთა მიღების საკითხს. თუმცა რა? ცენტრალური საბჭოს აპარატის მუშაკები თვითონ არ არიან სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წევრები. ასე იყო შარშან, ასეა წელსაც.

მართალია, „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ შეასრულა ნიშნისნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა, მაგრამ არა სახეობათა მიხედვით. ცხენოსნობაში ორი ოსტატი და 30 პირველთანრიგოსანი უნდა მოემზადებინათ, სინამდვილეში მხოლოდ 7 პირველთანრიგოსნის მომზადებით დაკმაყოფილდნენ. კალათბურთში 20 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 7 და სხვ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 14-მა ამხანაგმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოსულთა უმეტესობა ლაპარაკობდა ზოგადად, არაფერს ამბობდა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

პლენუმმა მოიმინა აგრეთვე ვ. უშვერიძის მოხსენება ცენტრალური საბჭოს 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და 1958 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ვ. ხომერიკის მოხსენება „კოლმეურნის“ წესდებაში ზოგიერთი, ცვლილებათა შეტანის შესახებ.

პლენუმმა საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლა პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარე ა. დოკვაძე და მის ნაცვლად აირჩია დ. კინწურაშვილი

ონელების გამარჯვება

გაიმართა ონის — რაიონული ველობა სათხილამურო სპორტში მოსწავლეთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა 6 გუნდის 60 სპორტსმენი.

გოგონათა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ღებელმა ი. ლოპატანიძემ. ვაჟთა შორის 10 კმ-ზე რბენის ფინიშთან პირველი იყო კ. ქოჩლაძე (ონის მე-2 სკოლა). სწრაფდაშვებაში რაიონის ჩემპიონობა წილად ხვდა ონის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეს ზ. ბენდიანიშვილს, ამანათრბენში 4X5 კმ გაიმარჯვეს ზვარეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

გუნდურ ჩათვლაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს ონის მე-2 საშუალო სკოლის მოთხილამურეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ღების, ხოლო მესამეზე — კვაშხიეთის წარმომადგენლები.

ა. მეტრეველი

ორ სახეობაში

ათ დღეს გრძელდებოდა ხულოს საშუალო სკოლის პირველობა ჭადრაკსა და სათხილამურო სპორტში. მოთხილამურეთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ მეათე კლასელები. რბენა 5 კილომეტრზე დამთავრდა ა. შანთაძის გამარჯვებით, ხოლო 10 კილომეტრზე ყველას აჯობა გ. ბოლქვაძემ. გოგონათა შორის 3 და 5-კილომეტრიან დისტანციებზე სკოლის ჩემპიონობა მოიპოვა მ. ჯოხაძემ.

ჭადრაკში ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა ნ. ქონიაძემ. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა მ. თავართქილაძე.

რ. მიქაბერიძე

კლასებს შორის

სიღნაღის რაიონში გაიმართა რამდენიმე შეჯიბრება. ანაგის საშუალო სკოლის სპორტულ ბაზაზე ერთმანეთს შეხვდნენ კოლმეურნე და მოსწავლე კალათბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მოსწავლე კალათბურთელებმა — 58:43.

სოფელ ქვემო ბოდბის საშუალო სკოლაში ამ დღეს გრძელდებოდა სასკოლო შეჯიბრება ფრენბურთში, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. პირველი ადგილი მოიპოვეს მე-11 კლასელებმა. სიღნაღის პირველ საშუალო სკოლაში დამთავრდა მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატი. პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს მეათე კლასელმა გ. სიფრაშვილმა და გ. ზურაშვილმა, რომლებმაც 6,5 ქულა მოაგროვეს 10 შესაძლებლიდან.

მასწავლებელთა ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა ი. აბულაშვილმა.

კ. ბეჟაშვილი



ექნებათ დარბაზი

თელავის მე-4 საშუალო სკოლაში დარბაზის უქონლობის გამო მოსწავლეები მოკლებული იყვნენ სრულწლიურ რეგულარულ ვარჯიშს. გასული წლის დეკემბერში კომკავშირის ღია კრებაზე განიხილეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი და გადაწყვიტეს დახმარებისათვის მიემართათ შეფისათვის — თელავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისათვის.

კომბინატის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა მოსწავლეთა თხოვნას და სკოლის ტერიტორიაზე დაიწყო სპორტდარბაზის მშენებლობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეებიც. სპორტდარბაზის მშენებლობა დამთავრდება სასწავლო წლის დასასრულისათვის.

გ. კობახიძე

სურათზე: დარბაზის მშენებლებს ეხმარებიან მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„დინამო“ პირველ ადგილზე

საქართველოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა



სურათზე: ჭიდაობის მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



სპორტული ქრონიკა

...ბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექ-...ნიკუმში დამთავრდა საბჭოთა კავში-...ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა-...ში მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში. I-II ადგილები გაიყვეს მასწავლებ-...ლებმა ბ. შალამბერიძემ და შ. ბოკუ-...ჩავამ.

გ. გვაზავა

* * *

...ზაქათალაში საპასუხო მიწვევით ...ფანგური მატჩების ჩასატარებლად ...ყვნენ ლაგოდეხის ფეხბურთის, კა-...ოთბურთის, ფრენბურთის, ჭადრა-...კის და მაგიდის ჩოგბურთის გუნ-...დები. მასპინძლებმა გამარჯვება ...ოიპოვეს მხოლოდ ფეხბურთში. ...ბა სახეობებში სტუმრებმა სძლიეს ...მასპინძლებს.

ი. ნადაშვილი

ამ მცირე ხნის წინათ „სოვეტსკი ...სპორტში“ დაიბეჭდა წერილი „მეტი ...ფანტაზია და გემოვნება“, ხოლო ...„ახალგაზრდა კომუნისტში“ — „სა-...ლეს — კი, ოღონდ სახელსაც თავი-...ს სილამაზე აქვა“, სადაც ლაპარა-...ობდა იმაზე, შესახებ, რომ ჩვენს გუნ-...დებს სპორტულ თამაშებში უნდა ...ერქვათ ლამაზი, გამომსახველი, ...ინფორმაციულისათვის დაშახასიათებელი ...სახელი და არა მოსაწყენი საუწყე-...ო შტამპი.

...ეს საკითხი ჩვენი პრესის მიერ ...პირველად როდია წამოჭრილი. ად-...გილი არა ერთხელ თქმულა იმის შე-...ახებ, რომ სრულიადაც არაა საჭი-...რო გუნდი იწოდებოდეს მაინცდა-...მინც იმ სპორტსაზოგადოების სახე-...ლით, რომლის გამგებლობაშიც იგი ...იმყოფება. სპორტის მოყვარულებს უკ-...ვე მობეზრდათ ეს გაუთა-...ბელი „ლოკომოტივი“, „კოლმეურნე“, „შრომითი ...რეზერვები“ და სხვა მის-...ნანი.

...განა შეიძლება დავა იმის შესახებ, ...რომ საკითხი გუნდებისათვის „პერ-...სონალური“ სახელწოდებათა დარქმე-...ის შესახებ მართებულია? ეს სადა-...ვო არაა. მაგრამ, ეტყობა, სპორტ-...საზოგადოებათა ხელმძღვანელები ...ჯერ ელევიან თავიანთ „პრესტიჟს“ ...და არ სურთ ვიწრო კაბინეტური ...თავმოყვარეობა“ გაცვალონ მოხდე-...ულ ვაქციურ სახელზე.

...მათ ალბათ მიაჩნიათ, რომ ჯოხი-...ანი გუნდი ერთ-ერთი მეთხუთმეტე ან მე-...ცამეტე „კოლმეურნე“ იყოს, ...ოღონდ კი ფრჩხილებში ეწეროს, ...რომ ეს სწორედ იმ რაიონის „კოლ-...მეურნეა“, სადაც რაისაბჭოს თავმჯ-...დომარედ მუშაობს მავან და მავანი ...ბატონი. მართალია, საშინელი ...ბიუროკრატია, მაგრამ კაცი ტყუილად ...ეს არ დებულობს ჯამაგირს, ხომ ...ბოდა გამოჩნდეს მისი „მუშაობა“!

...და აი საქართველოს პირველობაზე ...ფეხბურთში „კოლმეურხე“ ხვდება „კოლმეურნეს“, „ლოკომოტივი“ — „ლოკომოტივს“, „სპარტაკი“ — „სპარტაკს“, ნაკრები — ნაკრებს და ...ა. შ.

...გასულ წელს ბრწყინვალე წარმა-...ტება მიაღწიეს თბილისის ტრამვაი-...-ოლეიბუსის სამმართველოს ფეხ-...ბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს საკავშირო თასი ფიზიკური კულ-...ტურის ძირეული კოლექტივების გუნდებს შორის. მაგრამ ხომ უკეთესი იქნებოდა, რომ ამ გუნდა-...ს ტ. ტ. ს-ის ნაცვლად რქმეოდა რამე ...ლამაზი ქართული სახელი! ყველას ...ეცოდინებოდა, რომ ეს გუნდი თბი-...ლისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამ-...მართველოსია, მაგრამ მას ექნებო-...და თავისი კარგი სახელი.

ეს საუწყებო ინტერესები მარტო ...ჩვენთვის როდია დაშახასიათებელი. ...ასეა საკავშირო გათამაშებაში „ბ“ ...კლასის ფეხბურთელთა გუნდებშიც. ...მაგრამ ზოგიერთებმა წელს შე-...ცვალეს შაბლონი და უკვე გამოჩნდა ...ქიშინოვის „მოლდოვა“, ლენინაბა-...დის „პამირი“, გროზნოს „თერგი“, ...სორმოვოს „რაკეტა“... ლამაზი სახე-...ლებია!

ჩვენ გვყავს თბილისის არმიელთა შესანიშნავი გუნდი „ბ“ კლასში, რომელსაც ერთობ პროზაული სახე-...ლი ჰქვია: სკკო. ესაა, თუ შეიძლე-...ბა ითქვას, ინიციალები ორგანიზა-...ციის რუსული დასახელებიდან — სამხედრო ოლქის სპორტული კლუ-...ბი. ეს რომ ქართულად დაიწეროს, ...კიდევ უფრო უარესი გამოვა — ...სოხკ. რატომ არ მოუვა არმიელთა ...ხელმძღვანელობას აზრად დაარქვას ...თავის გუნდს რამე ორიგინალური ...სახელი, რომელიც გამოხატავს ძალას, ...ენერგიას, მისწრაფებას.

ნამდვილად არ უხდება ქუთაისელ ...ახალგაზრდულ, ენერგიულ კოლექ-...ტივს „ლოკომოტივი“. ეს სახელი ...სულაც არაა დამახასიათებელი ქუ-...თაისისათვის. რატომ არ შეიძლება ...დაარქვან მათ „გელათი“ ან „რიო-...ნი“? განა სპორტსაზოგადოება „ლო-...კომოტივს“ ამით დააკლდება რამე?

თბილისში სულ ახლახან შეიქმნა ...მეტად პერსპექტიული გუნდი „ბუ-...რევესტნიკი“. რატომ „ბურევესტნი-...კ“, როცა მას შეიძლება ვეუწოდოთ ...თუნდაც „დურუჯი“, ან „ცისკარი“.

თბილისს „დინამოს“ შეესისხლ-...ხორცა ეს სახელი, თორემ მას მოს-...კოველები ოდესღაც „დიდ ურაგვაე-...ლებს“ უწოდებდნენ. რა თქმა უნდა, ...ჩვენ ურაგვაელებთან ამ შემთხვე-...ვაში არაფერი გკესაქმება, მაგრამ ...ეს იმას მოწმობს, რომ მაყურებელი, ...სპორტის მოყვარული ყოველთვის ...ცდილობ, რამე თავისებური გამო-...ეებნოს გუნდისათვის, შეალამაზოს ...არსებული ერთფეროვნება. მაგალი-...თად, ერთ მოთხრობაში ჩვენს ...გუნდს „სამხრეთის ვარსკვლავს“ ...უწოდებდნენ. რით არის ცუდი? ...საბჭოთა კავშირის სამხრეთში ხომ ...არაა ასეთი სიძლიერის გუნდი.

ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთაგან ...უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოს-...ტატი გ. სიმონიშვილი („დინამო“), ...ხოლო მომდევნო ადგილებზე გამო-...ვიდნენ თ. არაბული („შრ. რეზერვე-...ბი“) და გ. ნავროზაშვილი („კოლმე-...ურნე“).

მსუბუქ წონაში ჩემპიონობის ...ერთ-ერთი პრეტენდენტი გ. ჯარია-...შვილი დამარცხებას ვერ ასცდა. მან ...პირველივე შეხვედრაში ქულებით ...წააგო სპარტაკელ ვ. კურტანიძეს-...თან, მაგრამ შემდეგი გამარჯვებე-...ბით, რომელთაგან აღსანიშნავია ...სუფთა გამარჯვება მეორე ადგილ-...ზე გამოსულ ნ. მაისურაძეზე („კოლ-...მეურნე“), მან გაინაღდა ჩემპიონობა.

ქვეყანაუფალი წონის მოჭიდავეთა ...შეხვედრები სპორტის ოსტატ ბ. მა-...ზიაშვილისა („დინამო“) და ბერია-...შვილის („კოლმეურნე“) ბრძოლით ...დაიწყო. მაზიაშვილმა შეხვედრა დი-...დი უპირატესობით მოიგო. სამაგიე-...როდ მან მეტად უფერულად ჩაატა-...რა შეხვედრა დინამოელ ვ. მარია-...ულთან. ფანდების გამოუყენებლო-...ბის გარდა მოჭიდავეები პასიურობ-...დნენ. მიუხედავად ორგზის გაფრთ-...ხილებისა ხალიჩაზე უშედეგო მი-...წევ-მოწევის სურათი არ ...შეცვლილა. მსაჯთა კო-...ლეგიამ სამართლიანად ...მიუსაჯა ორივე მოჭიდა-...ვეს დამარცხება. შემდე-...გი შეხვედრები მაზია-...შვილმა დიდი მონდომე-...ბით ჩაატარა და ჩემპიო-...ნის სახელი მოიპოვა. აქ-...ვე უნდა აღინიშნოს, რომ ...მრავალი წყვილის შეხვე-...დრაში მსაჯთა კოლეგია ...იძულებული იყო პასიუ-...რი ჭიდაობისათვის გაფ-...რთხილებები მიეცა მო-...ჭიდავეთათვის და დამარ-...ცხებაც კი მიესაჯა მათ-...თვის.

განსაკუთრებული ინ-...ტერესი გამოიწვია სა-...შუალო წონის მოჭიდა-...ვეთა შეხვედრებმა. აღნიშვნის ღირ-...სია განთიადელი გ. სულაშვილის ჭი-...დაობა, მისი დახვეწილი ტექნიკა.

თავის თანაკლუბელ კ. კაზირიას-...თან შეხვედრაში სულაშვილმა განა-...ხორციელა მეტად მოულოდნელი და ...სწრაფი შეტევა, მოხერხებულად ...აიყვანა მოწინააღმდეგე და ფეხზე ...მდგარმა დაუშვა ზურგზე. ეს მოხდა ...შეხვედრის დაწყებიდან 2 წუთსა და ...30 წამში.

ამ წონაში ჩემპიონის ბედი გადა-...წყდა ზ. მუხიაშვილი — გ. სულა-...შვილის შეხვედრაში. ისინი ერთმა-...ნეთს კარგად იცნობენ და საკმარისი ...აღმოჩნდა მუხიაშვილს წამით შეე-...სუსტებინა ყურადღება, რომ სულა-...შვილმა მოახერხა მისი შემოქცევა ოცი ...წამის განმავლობაში. შემოქცევის შე-...დეგად მიღებულმა მეტად საჭირო ...ქულამ გადაწყვიტა გამარჯვების ...ბედი. საქართველოს ჩემპიონი გახ-...და სულაშვილი (განთიადი).

ქვემძიმე წონის მოჭიდავეთაგან ...რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო ...სახელი მოიპოვა ა. ზურაბაულმა ...(„ბურევესტნიკი“). მან ყველა შეხ-...ვედრა მოიგო, მათ შორის ი. მშვე-...ლიძესთან („შრომითი რეზერვები“) — 16 წამში. მეორე საპრიზო ად-...გილზე აღმოჩნდა დინამოელი ა. კი-...კნაძე.

მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ...პირველობა 4 მონაწილეს შორის ...გათამაშდა. საინტერესო ბრძოლის ...შემდეგ პირველობა დაისაკუთრა სსრ ...კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ...შ. დაუშვილმა („დინამო“), ხოლო ...მეორე ადგილი — ა. ვარდოშვილმა ...(„ბურევესტნიკი“).

გუნდური პირველი ადგილი 30 ...ქულით დაიკავა „დინამომ“ (მწვრთ-...ნელი სპორტის ოსტატი ქ. ნინო-...შვილი). გამარჯვებულს მხოლოდ ...ორი ქულით ჩამორჩა „კოლმეურნე“ ...(მწვრთნელი სპორტის ოსტატი ნ. ...ნინიაშვილი).

ა. ბარნოვი

ჩვენ გვწერენ

მშვიდად შესცქერიან

ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკაში ახალ-...გაზრდებს უყვართ ფიზკულტურა ...და სპორტი. მათ რამდენჯერმე მი-...მართეს დახმარებისათვის დირექციას ...სპორტინვენტარის შეძენისა და ...ბაზების მოწყობის თაობაზე, მაგრამ ...საჭართლიანი თხოვნისათვის ყურად-...ღება არავის მიუქცევია. ფაბრიკის ...ძირეულ საბჭო მხოლოდ ქადალდზე ...არსებობს.

კომკავშირული და პროფკავშირუ-...ლი ორგანიზაციები, ფიზკულტური-...სა და სპორტის რაიონული კომიტე-...ტი გულდამშვიდებით შესცქერიან ...შექმნილ მდგომარეობას.

ვ. დოხნაძე

ღამაზი სახელი, ღამაზი ფორმა

...საუკეთესო ვარიანტი ისე, რომ ყვე-...ლამ იცოდეს — აი ეს ფერი თბილი-...სელებისაა. ჩვენის აზრით, ურიგო ...არ იქნებოდა კარგი ნარინჯისფერი ...ფორმა, რომელშიც უნდა უხვად ...იგრძნობოდეს სამხრეთის მზე, სამხ-...რეთული სიმსუბუქე.

თბილისის ახალგაზრდობ-...ის საფეხბურთო სკოლა-...ში ამ მხრივაც გადადგეს ...ნაბიჯი. აქ შეარჩიეს რამ-...დენიმე ფორმა გუნდებისათვის, და ...როცა მინდორზე გამოირბენენ ცქვი-...ტი ბიჭები, ზოლებიანი ჭრელი ...მაისურებით, იცოდეთ — ესაა „პა-...ტარა ვეფხვების“ გუნდი. ცხადია ...პატარა „ვეფხვებს“ ეყვარებათ თავი-...ანთი ფორმა და თავიანთი კოლექტივი, ...ეყვარებათ ისე, როგორც თბილისის ...ქალაბურთელთა გუნდის „სინთ-...ლის“ წევრებს უყვარდათ ოდესღაც ...თავიანთი კოლექტივი და თავგან-...წირვით ებრძოდნენ მაი გამარჯვე-...ბისათვის.

ჩვენი სურვილია, რომ გუნდებისა-...თვის სახელებისა და ფორმის მი-...კუთვნების საკითხი გაცდეს გაზე-...თების ფურცლებს და საქმედ იქ-...ცეს. ფეხბურთის რესპუბლიკური ...სექციის პრეზიდიუმს. მაგალითად, ...შეუძლია დაავალოს გუნდებს სახე-...ლების შერჩევა და ასევე მიიღოს ...განაცხადები: „ნარინჯი“ (ქობულე-...თი). „კოლხიდა“ (ფოთი), „ტალღა“ ...(ბათუმი), „მზიური“ (სოხუმი) და ...ა. შ.

ეს მეტ ზნოსა და ლაზათს შეიტანს ...ყოველ შეჯიბრებაში.

ბ. ქორქია

საინტერესო ლექცია

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ცურვის სექციამ რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა პირადი პირველობის დასასრულს მოაწყო საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. კიტაევის ლექცია თემაზე: „საზღვარგარეთელ და საბჭოთა მოცურავეთა წვრთნის გამოცდილების შესახებ“.

მომხსენებელმა დამსწრეთ დაწვრილებით მოუთხრო წვრთნის იმ მეთოდებსა და რეჟიმზე, რომელსაც იყენებენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ვარჯიშის დროს.

შეეხო რა ცურვის ტექნიკას ჩვენი რესპუბლიკა უძლიერეს მოცურავეთა შეჯიბრებაზე პირადი დაკვირვების შედეგად, კიტაევმა შენიშვნებით და კონკრეტული მაგალითებით საჭირო რჩევა მისცა როგორც სპორტსმენებს, ისე მათ მწვრთნელებს.

ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. ბარნაბიშვილი

არჩევნებს მიუძღვნეს

თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში მიმდინარეობს საჭადრაკო პირველობა მასწავლებელთა შორის. სკოლის პედაგოგებმა თავიანთი მორიგი შეჯიბრება მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ტურნირში მონაწილეობს 12 სპორტსმენი. უკვე გათამაშდა 9 პარტია. 6,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს ა. მათითაშვილი, 8 შესაძლებლიდან 5 ქულით მეორე ადგილზეა ი. დათაშვილი.

ვ. გოგაძე



ეჭვალდება

რომში ჩამოსული მოგზაური ან ტურისტი უცებ ვერც შეამჩნევს, როგორ ემზადება ქალაქი XVII ოლიმპიური თამაშებისათვის, მზადება კი დიდი ხანია მიმდინარეობს.

რომი თავისი არსებობის 2700 წლის მანძილზე ბევრი დიდი მოვლენის მოწმეა. კოლიზეუმში გლადიატორების ბრძოლებიდან და შუა საუკუნეების რაინდთა თამაშებიდან თანამედროვე სპორტულ შეჯიბრებებამდე. მაგრამ ძველ რომს, საბერძნეთისაგან განსხვავებით, ჯერ არც ერთხელ არ მიუღია ოლიმპიური თამაშების მონაწილენი, კიდევ მეტი. დიდი სპორტული ერის ამ ცენტრს, სპორტსმენთა დიდი რაოდენობის მისაღებად ყველა შესაძლებლობით აღჭურვილს, დიდი ხანია არ უნახავს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები ბევრ სახეობაში. ამიტომაა იტალიელებმა ასე ადრე რომ დაიწყეს მზადება თამაშებისათვის და ეჭვს გარეშეა 1960 წლის 25 აგვისტოსათვის, როდესაც დიდ სტადიონზე აგზგზზდება ოლიმპიური კოცონი, ყველაფერი სრულ მზადყოფნაში იქნება.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ვისაუბრეთ კონი-ს (იტალიის ოლიმპიური კომიტეტი) შენობაში ოლიმპიადის ორგანიზაციის პრობლემებზე. თითქმის უკვე წელიწადია, რაც პრეს-ბიურო არსებობს, რომელსაც მრავალრიცხოვანი მასალები მოეპოვება. მისმა გულთბილმა ხელმძღვანელმა რომილიო ჯაკომინიმ „სპორტის“ მკითხველთათვის მთელ რიგ საინტერესო კითხვებზე გვიპასუხა.

— კონი, — თქვა ჯაკომინიმ — ალბათ ერთადერთი სპორტული ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელიც თავის სახსრებზე არსებობს. კონი იტალიის ყველა სპორტული ფედერაციისაგან დიდ თანხებს იღებს. ასეული სპორტული ობიექტი, მათ შორის რომის ოლიმპიური სტადიონი (3 მილიარდ ლირად ღირებული), კონი-ს სახსრებითაა აგებული. კონი კორტინა დამპეცოშიც დამოუკიდებლად აფინანსებდა ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზაციას. შემოსავლის უდიდესი ნაწილი ჩვენს სალაროში შეამოაქვს ტოტალიზატორ „ტოტოკალჩიოს“. ეს შეადგენს დაახლოებით 700 მილიონ ლირას.

— განა საკმარისია ეს თანხები?

— არა, პირველი იანვრიდან შევწყვიტეთ იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებთან არ არიან დაკავშირებული, ცოტაოდენ დახმარებას სახელმწიფოც გაგვიწევს. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ჩვენს სასარგებლოდ უარს იტყვის ტოტალიზატორის გადასახადზე და აგრეთვე თავისი თანხებით ააშენებს ოლიმპიურ ქალაქს, რომელიც თამაშების დამთავრების შემდეგ გამოყენებულ იქნება სახელმწიფოს საჭიროებისამებრ. თუ ეს არ იქნება საკმარისი, ჩვენ იმედი გვაქვს რომელიმე საბანკო გაერთიანებისაგან მივიღოთ კრედიტი სასარგებლო პირობებით. ყოველ შემთხვევაში, ფინანსური საკითხი არ გვაშინებს და შეიძლება იგი გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

ჩვენი შემდეგი შეკითხვა ეხებოდა მონაწილეებისა და მაყურებელთა განაწილებას.

— საორგანიზაციო კომიტეტმა, — გვიპასუხა ჯაკომინიმ, — უნდა უზრუნველყოს 10 ათასი მონაწილის, ორგანიზატორის, მსაჯისა და კორესპონდენტის დაბინავება. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ყველაზე თანამედროვე ტიპის ოლიმპიური ქალაქის მშენებლობა დაწყებულია ზაფხულში. ოლიმპიადის ცენტრული ზონის — „ტიციანოს“ უშუალო სიახლოეს.

მომავალ ოლიმპიადაზე მსოფლიოს ყველა კუთხის 1200 კორესპონდენტის დაბინავების საკითხში სიახლე შეგვაქვს. ახლობით სხვადასხვა გაზეთის, სააგენტოსა და რადიოსადგურის კორესპონდენტთა მუშაობის გასაადვილებლად შენდება დიდი დამხმარე ნაგებობა, რომელშიც მოთავსდება სასტუმრო, რესტორანი, სამუშაო დარბაზები ტელეფონებით, ტელეტაიპებითა და რადიო-დანადგარებით, ორი სატელევიზიო დარბაზი და სხვ. გარდა ამისა, ყველა დარბაზსა და სტადიონზე, სადაც შეჯიბრებები ჩატარდება, შეიქმნება რადიო და პრეს-ცენტრები.

— ჩვენი გამოანგარიშებით, — სთქვა ჯაკომინიმ, — რომის ოლიმპიადას დაესწრება 300.000-მდე სტუმარი. მათი განლაგება ჩვენი ორმილიონიანი ქალაქისათვისაც კი (რომში 581 სასტუმროა) პრობლემა იქნება. 1960 წლის აგვისტომდე აშენდება კიდევ 100-მდე სასტუმრო.

თუმცა ოლიმპიადის დაწყებამდე ორნახევარი წელია, იტალიის სპორტული ორგანიზაციების მუშაობა კი ისე მიდის, თითქოს ოლიმპიადა ცხვირწინ იყოს. იტალიელებმა კორტინა დამპეცოს შემდეგ მიიღეს მადლობა ზამთრის ოლიმპიადის საუკეთესოდ ორგანიზაციისათვის და ეს მათ ნებას აძლევს იმედი იქონიონ ასეთივე წარმატებაზე 1960 წლის ზაფხულში.

1959 წლის მსოფლიოს სტუდენტთა თამაშები ჩვენთვის გენერალური რეპეტიცია იქნება. ამ თამაშებისათვის გამოვიყენებთ მთელ ჩვენს ოლიმპიურ აპარატს. თუ ადგილი ექნა რაიმე ხარვეზს, იგი ერთი წლის შემდეგ აღარ განმეორდება. ჩვენ ვიმედოვნებთ, — სთქვა ჯაკომინიმ, რომ XVII ოლიმპიური თამაშები მსოფლიოს ყველა სპორტსმენისათვის იქნება ნამდვილი „ზეიმი რომში“.

გაზ. „სპორტი“, ბელგრადი.

სურათზე: მაყურებლები რბოლის ტრასაზე წრეში ვ. რუხაძე, მარჯვნივ — შეჯიბრების მომენტი.

ს ო ხ უ მ ი

საყურადღებო ნაშრომი

ქართველმა ერმა ჭადრაკის გაცნობისთანავე (VII-VIII საუკუნეები) შეარქვა ფიგურებს თავისებური სახელები. დღეს ქართულ საჭადრაკო თერმინებს ყველა იცნობს, მაგრამ ცოტამ იცის მათი წარმოშობის შესახებ, რადგან ერთობ ღარიბი ისტორიული და ენათმეცნიერული მასალები გაგვაჩნია

სწორედ ამ საინტერესო საკითხს განიხილავს თავის ნაშრომში „ქართული საჭადრაკო თერმინოლოგიის წარმოშობის საკითხისათვის“ პროფ. მიხეილ შალამბერიძე.

წიგნი იწყება ისტორიული ექსკურსით, რომელშიც ფართო ადგილი აქვს დათმობილი ჭადრაკსა და ქართული ერის წარსულს. შემდეგ მ. შალამბერიძე უშუალოდ ეხება თვით თერმინების გარჩევა-ანალიზს.

როგორც ცნობილია, საჭადრაკო თერმინებს წარმოადგენს ჭადრაკი, მეფე, ლაზიერი, ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი, როჭი, ქიში და შამათი. მ. შალამბერიძე ყოველ თერმინს ცალ-ცალკე არჩევს, ადარებს მათ სხვა ხალხების (რუსების, გერმანელების, ესპანელების, პორტუგალელების, მონღოლების, ტაჯიკების) საჭადრაკო თერმინებს. ამ შედარებითი ანალიზით მას ლოგიკურად გამოჰყავს ის, რომ ქართული საჭადრაკო თერმინები წმიდა ეროვნული ხასიათისაა.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა თერმინის გარჩევას. გაგაცნობთ მხოლოდ „კუსს“ და „ეტლის“ წარმოშობის საკითხს. მ. შალამბერიძის კვლევით ჩანს, რომ არც ერთი ერის საჭადრაკო თერმინოლოგიაში არ მოიპოვება „კუს“ ცნების თერმინი. მაგალითად, რუსებს აქვთ სპილო, გერმანელებს — შიკრიკი. ბუნებრივად ისმის კითხვა: საიდან აიღეს ქართველებმა კუ? რამ გამოიწვია ასეთი მოძრავი ფიგურისათვის მაჩანჩალა კუს სახელის შერქმევა? პროფესორი ამბობს, რომ ამაზე პასუხს იძლევა ძველი ქართული სამხედრო შეიარაღებასთან გაცნობა. ჩვენს მამა-პაპას საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლებში ჰქონდა შექმნილი სამხედრო საჭურველი. ერთ-ერთი მათგანი იყო ციხე-კოშკების სანგრევი ხელსაწყო, რომელიც ზევიდან შეხედვისას კუს ჰგავდა. დიდი ძალის მქონე ფიგურას ამ სანგრევი მანქანის სახელი შეარქვეს.

თერმინი „ეტლი“ მხოლოდ ქართველებს აქვს. რუსები მას ნავს უწოდებენ, ხოლო ფრანგები — ტურას (ციხე-კოშკს) ძველი ჯარის შეიარაღებაში საბრძოლო ეტლები დიდ ძალას წარმოადგენდა. ნშირად მასზე იყო დამოკიდებული ბრძოლის ბედი. ამიტომაც ქართველებმა ორ ვარსკვლავს ცაზე „დიდი ეტლი“ და „პატარა ეტლი“ შეარქვეს და ამ შემთხვევაში ეტლი ნიშნავს ბედს.

პროფ. მ. შალამბერიძე (იგი 73 წლის ასაკში ამას წინათ გარდაიცვალა) ვერ მოესწრო თავისი ამ საყურადღებო ნაშრომის გამოცემას. იმედია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რომელსაც გადაცემული აქვს დასაბეჭდად მისი ნაშრომი, ფართო მკითხველს დროზე მიაწვდის ღვაწლმოსილი მეცნიერის უკანასკნელ წიგნს.

თ. გიოლრგაძე